

„ურბანიზაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანური
კაპიტალის ფორმირებაზე საქართველოში“

ანა ლომთაძე
ნათია ბაქაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს
სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა მელიქიძე - მაგისტრის ხარისხი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ანა ლომთაძე, ა. ლომთაძე, 13.06.2015

ნათია ბაქაქური, ნ. ბაქაქური, 13.06.2015

აბსტრაქტი

ურბანიზაცია არის საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესი, რომლის დროსაც ხდება ქალაქსა და მის გარეუბანში მოსახლეობის წილის ზრდა, მათი სოფლიდან ქალაქში გადასახლებისა და დამკვიდრების შედეგად. მნიშვნელოვანია ურბანიზაციის გავლენა ეკონომიკაზე, რამეთუ ქალაქურ ტერიტორიაზე საწარმოების, ფინანსური ინსტიტუტების, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ჯანდაცვის ცენტრების კონცენტრირებით, შესაბამისი გამართული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებითა და ადამიანური კაპიტალის თავმოყრით ხდება დანახარჯების შემცირება და პროდუქტიულობის ზრდა.

საქართველოში დღესდღეობით მოსახლეობის 57% (2014 წლის აღწერის წინასწარი შედეგები) განთავსებულია ქალაქის ტერიტორიაზე. გაეროს პროგნოზირებით, 2050 წლისათვის ეს მაჩვენებელი 66%-ს გაუტოლდება. ამდენად, საქართველოსთვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ურბანიზაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა მომდევნო ათწლეულებისათვის და ეს თემა ნამდვილად აქტუალური და საინტერესოა.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია საქართველოში ურბანიზაციის გავლენის შესწავლა ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე. ჩვენი კვლევა დაფუძნებულია დედუქციურ მიდგომაზე. შევისწავლეთ ურბანიზაციის ეკონომიკის სტრუქტურასა და ადამიანურ კაპიტალზე ზემოქმედების თეორიული კონტექსტი, რის შედეგადაც მოვახდინეთ ჰიპოთეზის გენერირება, რომ ზოგადად ურბანიზაციის კავშირი ეკონომიკურ განვითარებასთან და ადამიანური კაპიტალის ფორმირებასთან არის დადებითი, თუმცა განვითარებადი ქვეყნებისათვის, როგორც საქართველო, ეს კავშირი შედარებით სუსტია.

შევარჩიეთ კონკრეტული ცვლადები და მონაცემების მოსაძიებლად გამოვიყენეთ მეორადი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, ლიტერატურული ძიება. მსოფლიო ბანკის

საიტიდან მოვიძიეთ სტატისტიკური მონაცემები 1980-2013 წლების პერიოდში. მოპოვებული მონაცემების გასაანალიზებლად და კავშირების დასადგენად საწყის ეტაპზე ჩავატარეთ კორელაციური ანალიზი, ხოლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად - რეგრესიული ანალიზი.

კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ურბანიზაციასა და ერთ სულ მოსახლეზე მთლიან შიდა პროდუქტს შორის კავშირს აქვს U-ს ფორმა, ანუ საწყის ეტაპზე კავშირი უარყოფითია, შემდგომ ეტაპზე კი დადებითი. რეგრესიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დადებითია ურბანიზაციის გავლენა ეკონომიკის სტრუქტურასა და ჯანმრთელობისა და განათლების ცვლადებზე, ასევე ანაზღაურებადი დასაქმებულების წილზე. აგებულმა მრავლობითი რეგრესიის მოდელებმა გვიჩვენა საკმაოდ მჭიდრო კავშირი აღნიშნულ ცვლადებს შორის.

ჩვენი კვლევის პროცესს თან ერთვოდა გარკვეული შეზღუდვები: რამდენიმე დამოკიდებულ ცვლადზე ვერ მოვიძიეთ სრულყოფილი მონაცემები, რადგან მონაცემებს შორის წლების მიხედვით იყო წყვეტა, შესაბამისად მოგვიწია ცვლადების შეცვლა. ასევე არ გავითვალისწინებია ქვეყანაში ემიგრაციისა და იმიგრაციის ნაკადების გავლენა. საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ მიერ შესწავლილი საკითხების უფრო ვიწრო ჭრილში განხილვას. მაგალითად, კარგი იქნებოდა ურბანიზაციის გავლენის კვლევა მთლიან შიდა პროდუქტის კომპონენტებზე.

აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ ურბანიზაციას აქვს კავშირი საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე. ამ კავშირის ინტენსიურობის გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სწორი და გააზრებული ურბანული პოლიტიკის გატარებას, მეორადი ქალაქების მნიშვნელოვნების ზრდითა და ინფრასტრუქტურაზე დატვირთვის შემცირებით, რის შედეგადაც ურბანიზაციის სარგებელი იქნება უფრო მაღალი.

Abstract

Urbanization is a social transformation process, in which the share of the city population increases by exiling and settling from rural to urban area. The affects of Urbanization on economy is very important as it causes concentration of enterprises, financial and educational institutions and health care centers, formation the appropriate infrastructure, accumulation of human capital in urban area by which cost reduction and productivity growth occurs.

Nowadays 54% of the population lives in the city in Georgia. According to UN forecast, this figure will be equal to 66% for 2050 year. Thus, urbanization is a significant challenge over the next decades for Georgia, as well as the for whole world, and this is really actual and interesting topic.

This paper aims to examine the impact of urbanization on economic growth and human capital formation in Georgia. Our research is based on deductive approach. We studied the theoretical context of urbanization impact on structure of the economy and human capital. The hypothesis was generated that the connection between urbanization and economic development and human capital formation is positive, but in developing countries, such as Georgia, the connection is relatively weak.

The variables were selected and the secondary research method, literature review, was used to collect the data. The statistical data for the period of 1980-2013 was found on the site of World Bank. In order to analyze the obtained data and determine the links the correlation analysis was conducted at the initial stage, and the regression analysis was conducted to find out the cause affect relationship between variables.

Correlation analysis revealed that the link between urbanization and per capita gross domestic product has an U- shape. It means that the correlation is negative at the initial stage and it is positive at the next stage. Regression analysis showed that urbanization has the positive impact on the economic structure and health and education variables, as well as the share of the

waged and salaried employees (with respect to total employees). A multiple regression model shows a close relationship between variables.

Our research process was accompanied by some limitations: there was no complete data about some variables, thus we had to change the variables. In addition the impact of emigration and immigration flows of country was not taken into account. More research is needed to provide a narrow view of the issues explored in our research. For example, it would be good to examine the urbanization affect on the components of gross domestic product.

This study showed that urbanization has a connection to economic development and human capital formation. In order to increase the intensity of this link the role of the state is very important. Government should support the correct and thoughtful urban policy, to increase the importance of secondary cities and to reduce the load on the infrastructure, as a result the benefit of urbaization will be higher.